გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა

იოლად საკითხავი

2024 წელი

სახელმძღვანელო მომზადდა საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციის მიერ, გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისის და გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების პარტნიორობის მრავალპარტნიორული ნდობის ფონდის (UNPRPD MPTF) მხარდაჭერით.

პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს გაეროს მოსახლეობის ფონდის და გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების პარტნიორობის ფონდის შეხედულებებს.

სიტყვათა განმარტება

	მთავრობა არის ადამიანთა ჯგუფი, რომელიც წყვეტს როგორ მართოს ქვეყანა.
	**პოლიტიკა** არის ქვეყნის მართვა.
	პოლიტიკოსი არის ადამიანი, ვინც მონაწილეობს ქვეყნის მართვაში, ან ვისაც უნდა მონაწილეობის მიღება.
	არჩევნები წყვეტს ვინ უნდა მიიღოს გადაწყვეტილებები შენთან ერთად შენთვის. მაგალითად, არჩევნებით ირჩევ პარლამენტარს, მერს და საკრებულოს წევრს.
	პარლამენტარი არის ადამიანი, ვინც მუშაობს კანონებზე.

	**საქართველოს კონსტიტუცია** განსაზღვრავს სახელმწიფოს მოწყობის წესებს.
	გაეროს **„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია“** არის ქვეყნების შეთანხმება, რათა დაიცვან შშმ პირთა უფლებები.
	კანონი აწესრიგებს ცხოვრების კონკრეტულ სფეროს.
	მერია არის ქალაქის მთავრობა. **მერი** მართავს ქალაქს.
	საკრებულო არის მუნიციპალიტეტის პარლამენტი. **საკრებულოს წევრი** მონაწილეობას იღებს საკრებულოში გადაწყვეტილებების მიღებაში.

რას ეხება ეს სახელმძღვანელო

	ეს სახელმძღვანელო გასწავლის გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობას.
	გაიგებ, რას ნიშნავს პოლიტიკაში მონაწილეობა.
	პოლიტიკაში მონაწილეობა ნიშნავს იცოდე, როგორ იღებს გადაწყვეტილებებს შენი მთავრობა.
	პოლიტიკაში მონაწილეობა ნიშნავს მთავრობის გადაწყვეტილებებში მონაწილეობას.
	გაიგებ, როგორ დაიცვა შენი უფლება.

	პოლიტიკაში მონაწილეობა მოიცავს ხმის მიცემას.
	ასევე, მოიცავს სხვების დახმარებას ხმის მიცემის პროცესში.
	პოლიტიკაში მონაწილეობა მოიცავს პოლიტიკური პარტიის წევრობას.
	პოლიტიკაში მონაწილეობა ნიშნავს პოლიტიკოსებს ესაუბრო შენთვის მნიშველოვან საკითხებზე.
	პოლიტიკაში მონაწილეობა ნიშნავს მთავრობას ესაუბრო შენთვის მნიშვნელოვან საკითხებზე.

	პოლიტიკაში მონაწილეობით შეგიძლია შენი კანდიდატურა წარადგინო არჩევნებში.
	შენ გაქვს პოლიტიკაში მონაწილეობის უფლება.
	ეს უფლება მოგანიჭა გაეროს კონვენციამ და საქართველოს კანონმა.
	შეიძლება პოლიტიკაში მონაწილეობა ვერ მიიღო, იმიტომ, რომ ხელი შეგეშალა.
	პოლიტიკაში მონაწილეობისას ხელს **ბარიერი** გიშლის.

ბარიერები გადაწყვეტილების მიღების პროცესში

	ზოგიერთ ბარიერს ქმნის კანონი.
	ასეთი ბარიერის მოსაშორებლად უნდა შეიცვალოს კანონი.
	შენ გაქვს უფლება მონაწილეობა მიიღო კანონის შეცვლაში.
	აუცილებელია გქონდეს იოლად საკითხავი კანონი, რათა ზუსტად იცოდე რა არის შესაცვლელი.
	კანონის შესაცვლელად შეგიძლია დაესწრო პარლამენტის სამუშაო პროცესს და მონაწილეობა მიიღო მასში.

	ზოგიერთი ბარიერი პრაქტიკულია.
	ასეთი ბარიერი შეიძლება არ იყოს დაწერილი კანონში, მაგრამ მაინც ხელს გიშლის პოლიტიკაში მონაწილეობისას.
	მაგალითად, შენ შეიძლება არ იცოდე შენი უფლებები.
	ან იცოდე უფლებები, მაგრამ არ იცოდე მათი დაცვა და გამოყენება.
	შენი უფლებაა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა, მაგრამ შეიძლება არ იცოდე როგორ გამოიყენო ეს უფლება.

ქალებისა და გოგონების მონაწილეობა

	შშმ ქალებსა და გოგონებს ხშირად უსამართლოდ ექცევიან. ხანდახან არ აქვთ პოლიტიკაში მონაწილეობის ბიჭების მსგავსი შესაძლებლობები.
	განსაკუთრებით, როდესაც ეს ეხება მათ პირად ცხოვრებისა და რეპროდუქციულ ჯანმრთელობას.
	ამიტომ, შესაძლებელია შშმ ქალებსა და გოგონებს უფრო მეტი ბარიერი შეხვდეთ.
	შშმ ქალებსა და გოგონებს აქვს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლება.
	მთავრობამ უნდა დაიცვას შშმ ქალებისა და გოგონების პოლიტიკაში მონაწილეობის უფლება სხვა ქალების მსგავსად.

ბავშვების მონაწილეობა

	შშმ ბავშვებს ხშირად უსამართლოდ ექცევიან.
	მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს შშმ ბავშვებს საჭირო ინფორმაციის მიღებაში.
	მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს შშმ ბავშვებს საკუთარი აზრის გამოხატვაში.
	მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს ბავშვის აზრი იმ გადაწყვეტილებებში, რომლებიც მათ უკავშირდება.
	შშმ ბავშვების პოლიტიკაში მონაწილეობისთვის აუცილებელია მათი უწყვეტი განათლება.

გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის გზები

	მთავრობას და პოლიტიკოსებს კანონი ავალდებულებს ჩაგრთონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
	ამისთვის შექმნეს კონკრეტული გზები.
	ერთი გზაა საჭირო ინფორმაციის შენთვის გასაგებად და დროულად მოწოდება.
	ამიტომ გაქვს უფლება მოითხოვო დოკუმენტები იოლად საკითხავი ფორმით.
	მეორე გზაა **საკონსულტაციო საბჭოში** მონაწილეობა.

	საბჭოში ადამიანები იკრიბებიან კონკრეტულ საკითხზე სასაუბროდ.
	მთავრობა ვალდებულია ჰქონდეს ასეთი საბჭოები.
	ასეთი საბჭოები უკვე არსებობს მთავრობაში, სამინისტროებში, მერიასა და საკრებულოში.
	თუ საბჭოს შესახებ ინფორმაცია არ გაქვს, შეგიძლია მათგან მოითხოვო.
	ინფორმაციის მიღება შეგიძლია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებისგანაც.

	ზოგიერთი ფიქრობს, რომ შენ არ გინდა, არ გჭირდება ან არ შეგიძლია მთავრობის საქმიანობაში მონაწილეობის მიღება.
	ისინი ასე ფიქრობენ, რადგან შენს შესახებ არასწორი წარმოდგენები აქვთ.
	მაგალითად, შეიძლება ეგონოთ, რომ არ იცი ან არ შეგიძლია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება.
	მთავრობა ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებისთვის შეგიქმნას სპეციალური სერვისები.
	მაგალითად, მხარდამჭერი და პერსონალური ასისტენტი. ორივე დაგეხმარება დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღებაში.

	ბარიერი შეიძლება შეგექმნას არჩევნებში ხმის მიცემის დროსაც.
	შეიძლება არ გქონდეს ინფორმაცია ხმის მიცემის წესების შესახებ.
	ასეთ დროს უფლება გაქვს, მოითხოვო ინფორმაცია და დახმარება.
	მთავრობა და პოლიტიკოსები ვალდებულები არიან ინფორმაცია იოლი ფორმით მოგაწოდონ.
	ხმის მიცემისას შეგიძლია დაიხმარო სანდო მხარდამჭერი.

	შენი უფლებების დაცვა და გამოყენება შეგიძლია როგორც თვითადვოკატს.
	თვითადვოკატი არის ადამიანი, რომელიც თავად იცავს საკუთარ უფლებებს.
	თვითადვოკატი თავისი უფლებების დაცვით იცავს სხვის უფლებებსაც.
	იმისთვის, რომ გახდე თვითადვოკატი მოითხოვე იოლად საკითხავი დოკუმენტები უფლებების შესახებ.
	გახდი თვითადვოკატი შენი და სხვისი უფლებების დასაცავად.

მონაწილეობის უფლების დაცვა

	თუ ვერ მიიღე მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ესეიგი შენი უფლება დაირღვა.
	შენი უფლების დარღვევის შემთხვევაში შეგიძლია მოითხოვო დახმარება.
	ასეთ დროს დაგეხმარება **სახალხო დამცველი.**
	სახალხო დამცელი იცავს ყველა ადამიანის უფლებებს და თავისუფლებებს.
	სახალხო დამცველთან დარეკვა შეგიძლია ცხელ ხაზზე: 1481